



ქვემო ქართლის
საინფორმაციო
ცენტრი



28.10.2013 13:47

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [მედია](#)
- [ვაკანსიები](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » „მწვანე ალტერნატივა“ საყდრისის მაღაროსთვის ძეგლის სტატუსის მოხსნას და არქეოლოგიური ზონის გაუქმებას სასამართლოში გაასაჩივრებს

„მწვანე ალტერნატივა“ საყდრისის მაღაროსთვის ძეგლის სტატუსის მოხსნას და არქეოლოგიური ზონის გაუქმებას სასამართლოში გაასაჩივრებს

2013.10.18 | 14:20

Like

2 people like this. Be the first of your friends.

Tweet 0

Share



არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ საყდრისის ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნას და სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის გაუქმებას სასამართლოში გაასაჩივრებს. როგორც ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრს ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნინო გუჯარაიძემ განუცხადა, ორგანიზაცია ორივე აქტის ბათილად ცნობას ითხოვს.

„მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, ეს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები ძეგლის განადგურებას გამოიწვევს.

„კანონის უხეში დარღვევაა ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა. მომავალ კვირას სასამართლოში შევიტანთ სარჩელს. ეს არის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, რაც ძეგლის განადგურებას გამოიწვევს, მეტი არაფერი. მას ააფეთქებენ“, - განუცხადა ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, საყდრისის ოქროს მაღაროსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი „მწვანე ალტერნატივამ“ სასამართლომდე საქართველოს მთავრობაში გაასაჩივრა, მაგრამ სამართლებრივი რეაგირების ნაცვლად პრემიერ-მინისტრმა „საქმე გაარჩია“.

„ჩვენ ეს საკითხი თავდაპირველად ადმინისტრაციული წესით გავასაჩივრეთ მთავრობის კანცელარიაში. როცა რაიმე დარღვევაა და ადმინისტრაციული აქტის ბათილობას ითხოვ, სანამ სასამართლოს მიმართავ, უნდა გაასაჩივრო ზემდგომ ორგანოში. რადგან კულტურის სამინისტროსთან გვქონდა პრეტენზია, მივმართეთ მთავრობას. წესით მთავრობის იურიდიული სამსახური იხილავს ამას და მოახსენებს მთავრობას. შემდეგ მთავრობის

კაბინეტი იღებს გადაწყვეტილებას. განხილვის დღეს, პრემიერ-მინისტრმა „RMG GOLD“-თან ერთად მომჩივანი ირინა ღამბაშიძეც დაიბარა. იურიდიული სამსახური განიხილავს, ამავე დღეს პრემიერი იბარებს ორივე მხარეს და „საქმეს არჩევს“, ამას კანონდებლობა არ ცნობს. სამართლებრივ მექანიზმებს არ დაელოდნენ და მოლაპარაკების რეჟიმში გადაწყვიტეს საკითხი. პრემიერმა რომ თქვა, მერე იურიდიული სამსახური სხვანაირ გადაწყვეტილებას მიიღებდა“, - აღნიშნა ირაკლი მაჭარაშვილმა.

გარემოსდამცველის თქმით, კომპანია „RMG GOLD“-ს, რომელიც საყდრისის მაღაროდან ოქროს მოპოვებას გეგმავს, შეუძლია მისი ამოღება მაღაროს წესით განახორციელოს, რაც გარემოს ნაკლებად დააზიანებს, მაგრამ კომპანიას ამ მეთოდის გამოყენება არ უნდა, რადგან ასე ნაკლებ მოგებას ნახავს.

„კომპანიას შეუძლია, რომ ოქრო ღია კარიერული წესით მოპოვების ნაცვლად, მაღაროს წესით მოიპოვოს, მაგრამ ეს არ უნდათ იმიტომ, რომ ღია კარიერული წესით მოპოვება ადვილი და იაფია. სამაგიეროდ იქაურობას ანადგურებენ. ადამიანების დასაქმებაზე რომ აპელირებენ, მაღაროს წესით რომ მოიპოვონ ოქრო, ასე უფრო მეტ ადამიანს დაასაქმებენ, მაგრამ მოგება ექნებათ ნაკლები და არ აწყობთ. „RMG GOLD“ ამბობს ამ ძეგლს გადავიტანთ და ამ ადგილას მუზეუმს გავაკეთებთო, რა მუზეუმი უნდა გააკეთონ? თან აცხადებენ, საყდრისი ძეგლი არ არისო. ძალიან კვალიფიციურ მეცნიერებს ჩირქს ცხებენ, რომლებიც ამტკიცებენ რომ ეს ძეგლია“, - განუცხადა ქვემო ქართლის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი მაჭარაშვილმა.

შპს „RMG Gold“ საყდრისის საბადოდან მოპოვებული ოქროსშემცველი კვარციტებიდან ოქროს მოპოვებას ციანიდის გამოყენებით გეგმავს. ამასთან დაკავშირებით, „RMG Gold“-მა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან ნებართვას ითხოვს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვა ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დღეს იმართება.

საყდრისის ოქროს მაღაროები 2006 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიყვანეს და მას ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 05 ივლისის 03-108-ე ბრძანებით მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი გაუუქმდა.

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს კი, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონაც

ამასთან დაკავშირებით დღეს, სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გამართეს, რის შემდეგაც ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გზმ-ს ანგარიშის განხილვას შეუერთდნენ.

Like 2 people like this. Be the first of your friends.

Tweet 0

Share




Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)


Comment

Facebook social plugin

 ქვემო ქართლის
საინფორმაციო ცენტრი

Like


549 people like ქვემო ქართლის
საინფორმაციო ცენტრი.



Facebook social plugin

Recommendations

 <http://www.icn.ge/ka/portal/news/504>
ბადრი-პატარკაციშვილის-
ოჯახი-რუსთავის-
მეტალურგიულ-ქარხანასთან-
დაკავშირებით-განცხადებას-
ავრცელებს.htm
One person recommends this.

 გერმანელი პროფესორი
საყდრისის ოქროს საბადოზე
კულტურის მინისტრს
მიმართავს
2 people recommend this.

Facebook social plugin

